Co-funded by the European Union

Laterna Magica

Muzeum Narodowe w Gdańsku

Carnica institute

KADİR HAS ÜNİVERSİTESİ

GACC

reDiscover

აღმოაჩინე ტრადიციული ცოდნა ევროპის შემოქმედებით ინდუსტრიებში
2023-2024

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი პროექტ `reDiscover`-ის ფარგლებში დამწყებ კერამიკოსებს (16-დან 20 წლამდე) გიწვევთ კერამიკის ვორქშოფებში მონაწილეობის მისაღებად.

ახალგაზრდა კერამიკოსებს პროგრამაში მონაწილეობა შესაძლებლობას მისცემს გაეცნონ ევროპული შემოქმედებითი ინდუსტრიების და ტრადიციული რეწვის მეთოდებს, დაესწრონ პოლონელი კერამიკოსის - ალექსანდრა ვენტის მასტერკლასებს და ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობით შექმნან თანამედროვე დიზაინის საავტორო ნამუშევრები.

პროექტი `reDiscover` ხორციელდება შემოქმედებითი ევროპის პროგრამის (CREA) მხარდაჭერით ევროპის ხუთ ქვეყანაში. პროექტში მონაწილე ქვეყნებია - უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია, თურქეთი და საქართველო.

პროგრამის ადგილობრივი პარტნიორია ხელოვნების სტუდია „Art East“.

მასტერკლასები ჩატარდება ორ ეტაპად - 2023 წლის 28 ივნისიდან 15 ივლისამდე.

პირველი ეტაპი - სამდღიანი მასტერკლასი, 28, 29, 30 ივნისი, 2023
მასტერკლასს გაუძღვება პოლონელი კერამიკოსი და ხელოვანი - ალექსანდრა ვენტი www.karska-went.info
https://www.instagram.com/wela_ont_ceramika/
https://www.akademie-solitude.de/en/person/aleksandra-went/

მეორე ეტაპი - 30 ივნისი-15 ივლისი, 2023
მეორე ეტაპი ითვალისწინებს ალექსანდრა ვენტის მასტერკლასებზე შექმნილი ესკიზების მიხედვით ნამუშევრების დასრულებას. სტუდენტები ადგილობრივი მენტორების დახმარებით იმუშავებენ საკუთარ მოტივებზე, რომელიც საბოლოოდ ცალკეული ელემენტებისგან შექმნილ ერთ დიდ ნამუშევრად გაერთიანდება.

პროგრამის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრების ფოტოები განთავსდება ვებ გვერდზე: www.rediscover-project.eu

პროგრამაში მონაწილეობა უფასოა.

მონაწილეობის მსურველებმა **2023 წლის 10 ივნისის ჩათვლით** უნდა შეავსოთ განაცხადის ფორმა ბმულზე: https://bit.ly/434VHbB

შეირჩევა 15 კანდიდატი. შერჩეულ მონაწილეებს პასუხები ეცნობებათ **2023 წლის 15 ივნისამდე.**

მასტერკლასები ჩატარდება სტუდია Art East-ის კერამიკის სახელოსნოში.
მის: გიორგი ახვლედიანის ქუჩა #15, თბილისი, 0108, საქართველო

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
მისამართი: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი, 0108, საქართველო
ელ.ფოსტა: gallery@gaccgeorgia.org ტელ: (+995 32) 2931 335
საკონტაქტო პირი: თეა გოცირიძე მობ.: 593 397 153

ARTEAST Art School & Studio